ახალგაზრდა ქართველი ქალების ხედვები და გამოცდილებები ქალიშვილობასთან დაკავშირებით

მედეა გათენაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ელენე გავაშელიშვილი, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარმოდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მედეა გათენაძე

26.01.2021

აბსტრაქტი

ტრადიციულ საზოგადოებებში ქალიშვილობის საკითხები, ქალის სექსუალობა და მისი სხეულის კონტროლი აქტიური განხილვის საგანია. დღევანდელ ქართულ საზოგადოებაში ეს საკითხები ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება. მოდერნული სამყაროსთვის დამახასიათებელმა პროცესებმა, განსაკუთრებით ინდივიდუალიზაციამ, ბევრი რამ შეცვალა, მაგრამ აღნიშნულ თემებზე მაინც ახდენს გავლენას ტრადიციული კულტურული ღირებულებები და რელიგიური რწმენა. საკითხის აქტუალობის მიუხედავად, ქალის სექსუალობის და ქალიშვილობის საკითხებზე მწირი ინფორმაცია მოიპოვება.

ზემოთ აღნიშნული გარემოებები ჩემი კვლევის ჩატარების მოტივი გახდა. კვლევის მიზანს წარმოადგენს სქესობრივი აქტის (უშუალოდ პენეტრაციის) გამოცდილების მქონე ახალგაზრდა ქალების დამოკიდებულებებისა და გამოცდილებების კვლევა. კვლევის ამოცანებია იმ ფაქტორების დადგენა, რომლებიც განაპირობებენ ქალიშვილობის მიმართ წარმოდგენების ჩამოყალიბებას; იმ მნიშვნელობების გაგებას, რომლებსაც რესპონდენტები ქალიშვილობასა და საქალწულე აპკს ანიჭებენ; იმ სირთულეების გამოკვეთას, რომლებიც ქართულ საზოგადოებაში ქალის სექსუალობისა და ქალიშვილობის საკითხებს უკავშირდება. კვლევა დავგეგმე ფენომენოლოგიური დიზაინით. კვლევის მიზნის მისაღწევად შევარჩიე რამდენიმე თვისებრივი მეთოდი. რესპონდენტების ნაწილი სიღრმისეული ინტერვიუების საშუალებით გამოვკითხე. თემის სენსიტიურობიდან გამომდინარე, გამოკითხულთა ნაწილმა მეტი გულახდილობისთვის საკუთარი გამოცდილება ისტორიის სახით დამიწერა. რესპონდენტები შევარჩიე თოვლის გუნდის მეთოდით. ამასთან ერთად, რელიგიის (საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის) გავლენის საკვლევად კონტენტ-ანალიზის საშუალებით დავამუშავე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ბოლო ოცი წლის (1990-2020) საშობაო და სააღდგომო ეპისტოლეები.

ჩემი კვლევა ღირებულია რესპონდენტების გამოცდილებების მრავალფეროვნებით. ფენომენოლოგიური დიზაინის საშუალებით ნაშრომში

გამოიკვეთა ახალგაზრდა ქალების რწმენები, დამოკიდებულებები, განცდები, გამოცდილებები. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საკითხის სიმძაფრისა და სენსიტიურობის აღსაქმელად, კვლევაში ქალთა გამოცდილებები აღწერილია მათივე სიტყვებით, ტერმინებით, სადაც ახალგაზრდა ქალების შინაგანი გარემო, გამოუთქმელი განცდები და დაფარული შიშები იკვეთება.

საკვანძო სიტყვები: ქალის სექსუალობა; ქალიშვილობა/ქალწულობა; საქალწულე აპკი; ქალიშვილობის ინსტიტუტი; სიწმინდე; ქალის სხეულის კონტროლი; ძალაუფლების გადანაწილება; ტრადიციული ღირებულებები.

Abstract

Virginity, female sexuality and control of female body are the subject of active discussion in traditional societies. These topics remain as a challenge in today's Georgian society. Modernization processes, especially individualization, have changed many things. Despite this, these themes are influenced by traditional values and religious beliefs. Despite the urgency of this topic, there is lack of information about the issue of female sexuality and virginity.

All the circumstances I mentioned above, became my motive for my research. The aim of my work is to study the attitudes and experiences of young women, who have experienced sexual intercourse (penetration). The key questions of the research were to identify the factors that contribute to the formation of perceptions of virginity; understanding the meanings that young women attach to the virginity and hymen; highlighting the difficulties related to women's sexuality and virginity in Georgian society. My research is phenomenological study. I have selected several qualitative methods to achieve the purpose of the study. I conducted in-depth interviews with the young women. Due to the sensitivity of the topic and for more honesty, some of the respondents wrote their own experiences, stories in the form of letter.

Respondents were selected using the snowball sampling technique. In addition, to study the influence of religion (Georgian Orthodox Church) epistles of last twenty years (1990-2020) were analyzed through content analysis.

My research is valuable for the various experiences of the young women. Phenomenological study revealed the beliefs, attitudes, feelings, experiences of young women. Most importantly, to see the intensity and sensitivity of the issue, the study describes young women's experiences with their own words, where unexpressed feelings and hidden fears are shown.

Key words: Female sexuality; Virginity; Hymen; The virginity institute; Purity; Female body control; Distribution of power; Traditional values.

მადლობა

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ელენე გავაშელიშვილს, რომელიც ნაშრომზე მუშაობის განმავლობაში გვერდში მედგა და თოთოეულ ეტაპზე მეხმარებოდა. მისმა პროფესიულმა რჩევებმა და უშუალო დამოკიდებულებამ მომცა დიდი მოტივაცია, რომ კვლევას ჰქონოდა ამჟამინდელი სახე.

მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მეგობარს, რომელმაც დამაკავშირა ჩემი კვლევის თითოეულ რესპონდენტთან. საკითხის სენსიტიურობის გამო, მის გარეშე გამოკითხულებისგან გამიჭირდებოდა ნდობის მოპოვება.

მადლობას ვუხდი კვლევის თითოეულ მონაწილეს, რომლებმაც მანდეს პირადი გამოცდილებები, საკუთარი ისტორიები, აქამდე გაუზიარებელი ამბები და საიდუმლოებები.

მადლობა მინდა ვუთხრა ჩემი ოჯახის წევრებს, მეგობრებსა და ახლობლებს, რომლებიც მთელი ამ ხნის განმავლობაში მამხნევებდნენ და მხარს მიჭერდნენ.